სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის თეონა კობიაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**12**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

შემფასებელი:

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **თეონა კობიაშვილის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - თეონა კობიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი თეონა კობიაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამ დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით თეონა კობიაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპ-

ლინური სამართალწარმოების შესახებ. თეონა კობიაშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და ასეთი ინფორმაციის შემცველი სხვა დოკუმენტები. თეონა კობიაშვილის შეფასებისას ასევე გათვალისწინებულ იქნა მის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ასახული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის პროცესში უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი თვისებები.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ, გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, გულწრფელობას და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

თეონა კობიაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. თეონა კობიაშვილს არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ როგორც სამართლიან, მიუკერძოებელ პიროვნებას, აღნიშნავენ, რომ იგი ობიექტურად და ყურადღებით განიხილავს მის წინაშე წამოჭრილ საკითხებს, შუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, არის ზეგავლენის მიმართ მედეგი.

ამასთან, თეონა კობიაშვილი არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზე მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თეონა კობიაშვილი არის გაწონასწორებული და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, თეონა კობიაშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი მონაწილეობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მხარედ, მოსარჩელის სტატუსით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (I კოლეგია) 2014 წლის 12 სექტემბრის N1/4/582 განჩინება). დავის საგანი - „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2014 წლის 5 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უკვე დანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ითვლებოდა დროებით მოვალეობის შემსრულებლად შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე. 2014 წლის 29 მაისის N2479 კანონით სადავო ნორმამ იური-

დიული ძალა დაკარგა (ამოღებული იქნა კანონიდან), შესაბამისად, სამართალწარმოება შეწყდა.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თეონა კობიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არ იძებნება ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თეონა კობიაშვილი მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ **თეონა კობიაშვილი**, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე თეონა კობიაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე - საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ თეონა კობიაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი (რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 4, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 75/15). იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „თეონა კობიაშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა, სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 92 ქულა. <u>სამოქალაქო სამართალში</u> თეონა კობიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული

ცოდნა და მრავალმხრივ შესწევს უნარი პრაქტიკაში გამოიყენოს იგი. აქვს სამართლებრივი ანალიზის შესანიშნავი უნარი. ახასიათებს არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად კორელაცია და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით ზუსტად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების მეტად განვითარებაზე.

<u>ადმინისტრაციული სამართალში</u> თეონა კობიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის ძალიან კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად, თანმიმდევრულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. არის კეთილსინდისიერი, თავაზიანი, შრომისმოყვარე, გულისხმიერი, კომუნიკაბელური, მაღალი კომპეტენციის მქონე ადამიანი.

<u>სისხლის სამართალში</u> თეონა კობიაშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში კარგად გამოყენების უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა, შესაბამისად აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, რაც ეხმარება დაკისრებულ სამუშაოს ზუსტად და ხარისხიანად შესრულებაში. ასევე, სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და შრომისმოყვარეობის ხარჯზე სამუშაოს დატვირთვას კარგად უმკლავდება. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გასაგებად და მარტივად აქვს გადმოცემული აზრი. მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. შესწევს შეცდომის აღიარების უნარი და მუდმივად ისწრაფვის მეტი სწავლებისა და განვითარებისკენ. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 2 დეკემბერს, თეონა კობიაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ თეონა კობიაშვილი კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. მან ძირითადად სრული პასუხები გასცა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროდან დასმულ შეკითხვებს. მანვე წარმატებით გაართვა თავი კონსტიტუციურ სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს. აღსანიშნავია, რომ თეონა კობიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ თეონა კობიაშვილი კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატის მსჯელობა თითოეულ საკითხზე იყო არგუმენტირებული.

<u>**კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან**</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ თეონა კობიაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის - პირველი ინსტანციის სასამართლოში მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „კანდიდატს შესწევს უნარი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა სწორად, ნათლად, გარკვევით და ლაკონიურად გადმოსცეს. კონცენტრირებულია ძირითად და მნიშვნელოვან გარემოებებზე, გრამატიკულად გამართულად წერს." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად, გარკვევით, მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით. მის მიერ შესრულებული საპროცესო დოკუმენტები გამოირჩევა დასაბუთებულობით და დამაჯერებლობით.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო კვალიფიციური და თანმიმდევრულია.

<u>**წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან**</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმად „შეფასების პერიოდში დაკვირვებისას შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა. ისინი იშვიათად მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. შესაფასებელი პირი გულდასმით და დიდი ყურადღებით ამზადებდა სასამართლო გადაწყვეტილებების და საპროცესო დოკუმენტების პროექტებს. თეონა კობიაშვილს შესწევს უნარი საქმეში არსებული მრავალი ფაქტობრივი გარემოებიდან გამოყოს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. მსმენელი ლაკონურად და გასაგებად გადმოსცემს აზრს."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ თეონა კობიაშვილს აქვს აზრის ნათლად და ლაკონიურად გადმოცემის უნარი, მეტყველებს დინჯად და გამართულად, მოთმინებით და აღელვების გარეშე ისმენს სხვების აზრს. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში დადებითად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>პროფესიული თვისებებთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თეონა კობიაშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით.

<u>აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი თეონა კობიაშვილი მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

თეონა კობიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები, ასევე, გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ თეონა კობიაშვილს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის, მონაწილეობა მიიღო შემდეგ თემებზე გამართულ სემინარებში: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა; პრაქტიკული ფსიქოლოგია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე შრომითი დავები და სასამართლო პრაქტიკა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა; გადაწყვეტილების შედგენა და დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები - საჯარო სამსახურის ბიურო.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ თეონა კობიაშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 87 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 09.12.2024